

## ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

პატივცემულო საკრებულოს წევრებო,  
ქალბატონებო და ბატონებო,

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საკმაო პერიოდი გავიდა, არჩეული იქნა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი. არჩევნების შემდგომმა პერიოდმა უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ის წარმატებები და ამასთანავე ხარვეზები, რომელიც მუნიციპალიტეტში გავგაჩნია. გამოწვევები კი საკმაოდ მასშტაბურია. სწორედ ჩვენმა საქმიანობამ, მჭიდრო კავშირმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, პრობლემების სიღრმისეულმა ანალიზმა და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიებამ უნდა განაპირობოს მუნიციპალიტეტის ხვალისდელი დრე.

მთავარი ამოსავალი წერტილი პრობლემათა გადასაჭრელად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტია, ბიუჯეტია სწორედ ის ხერხემალი, რომელზედაც ფაქტობრივად ბევრი რამაა დამოკიდებული.

დავიწყოთ 2017 წლის ბიუჯეტის შესრულებით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის #33 დადგენილებით და განისაზღვრა 4 887.7 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2017 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის განაწილება ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 1 982 994 ლარი, საიდანაც 194.4 ათ.ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთია.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველი იყო 2017 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული გაუნაწილებელი თავისუფალი 63 406.3 ლარის ნაშთის ნაწილის განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველი კი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის 480 განკარგულება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 1 447 631 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში გზებში და კეთილმოწყობის ღონისძიებებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველი იყო მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნებული და დარეგისტრირებული ა(ა)იპ-ების ,როგორც ახალი საბიუჯეტო ორგანიზაციების მოქმედი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის 693 განკარგულება, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 332500 ლარი, ასევე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის 1533 განკარგულებით დარჩენილი ნაშთი 63 201 ლარის გადანაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ივნისის 1091 განკარგულება (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის 480 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა), რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს გამოეყო დამატებით 58 482 ლარი (სოფ. ლაილაშის სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის), ასევე ცვლილების საფუძველი იყო მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნებული და დარეგისტრირებული ა(ა)იპ-ების ,როგორც ახალი საბიუჯეტო ორგანიზაციების მოქმედი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების საფუძველი იყო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ თანადაფინანსებაში წარმოქმნილი ეკონომიით მოხდეს სამშენებლო ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯის გაზრდა, შესაბამისად შემცირდა დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება 6045 ლარით და გაიზარდა ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მერვე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის 1280 განკარგულება (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის 480 განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 1391264 ლარი. ამავე განკარგულების საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის მუნიციპალიტეტს გამოეყო 81151 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეცხრე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N 1401 განკარგულება, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 278614 ლარი ცაგერის მუნიციპალიტეტში ღვირიშის ჩანჩქერზე საფეხმავლო ხიდისა და მურის ციხეების დამაკავშირებელი ბილიკის და კლდეზე დაკიდებული საფეხმავლო ბილიკების მოწყობის დასაფინანსებლად, ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის 1394 განკარგულება, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 1425000 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეათე ცვლილების საფუძველი იყო ქ.ცაგერში ასათიანის ქუჩაზე მშენებარე სპორტული კომპლექსის ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფის მიზნით თანხის გამოყოფა. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის #20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესის“ შესაბამისად სპორტკომპლექსის საჭირო სიმძლავრით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტი, როგორც მომხმარებელი ვალდებული იყო „გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განცხადებით მიემართა განაწილების ლიცენზიატს. ამასთან ერთად მუნიციპალიტეტი (მიერთების მსურველი) ვალდებული იყო განაცხადის წარდგენამდე გადაეხადა გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის 50 %, რაც კონკრეტულ შემთხვევაში წამოადგენდა 47,0 ათ. ლარს

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთერთმეტე ცვლილების საფუძველი იყო 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების (72,0 ათ.ლარი), ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის (16,0ათ.ლარი) მოქმედი წესის შესაბამისად ბიუჯეტში ასახვა და პრიორიტეტებზე გადანაწილება, ასევე ცვლილების საფუძველი გახლდათ ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახადების ზოგიერთ სახეობებში წარმოქმნილი ეკონომიის გადანაწილება პრიორიტეტებსა და პროგრამებზე. აგრეთვე ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებებისათვის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთორმეტე და მეცამეტე ცვლილების საფუძველი იყო 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების მოქმედი წესის შესაბამისად ბიუჯეტში ასახვა და პრიორიტეტებზე გადანაწილება,

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთოთხმეტე ცვლილების საფუძველი გახლდათ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ნოემბრის # 2463 განკარგულება „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან

მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის #693 განკარგულებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ქ. ცაგერში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 291 811 ლარი, შემოსულობები კერძოდ „გრანტები“ და გადასახდელები „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ განკარგულებით გამოყოფილი თანხის შესაბამისად დაზუსტდა, (შემცირდა 40689 ლარით,) ასევე ცვლილების საფუძველია 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების მოქმედი წესის შესაბამისად ბიუჯეტში ასახვა და პრიორიტეტებზე გადანაწილება

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთხუთმეტე ცვლილების საფუძველი იყო 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების (14,0 ათ.ლარი), და ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახადების ზოგიერთ სახეობებში წარმოქმნილი ეკონომიის გადანაწილება პრიორიტეტებსა და პროგრამებზე. ცვლილების საფუძველია აგრეთვე ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებებისათვის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთექვსმეტე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის 2627 განკარგულება (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის 480 განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის ნაცვლად 81151 ლარისა გამოეყო 24071 ლარი .

**ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 8463.7 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8185.3 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 96.7 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 240,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 170.5 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 71.1%-ით, საშემოსავლო გადასახადის გეგმა იყო 280.0 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 344.9 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 123.2 %-ით.**

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 7649.3ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 7361.4 ათ ლარი, ანუ გეგმის 96.2 %, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა იყო 4076.3 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 4076.3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100,0%-ით. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 158.0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 158.0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100 %-ით., კაპიტალური

ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 3415.0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3127.1 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 91.6 %-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 294.5 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 308.4 ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 104.7 %-ით, მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 5.0 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 6.7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 133.5 %-ით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 50.4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 43.8 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 86.9 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5.0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 11.9 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 237.2%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 20.0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 17.7 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 88.6%-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 32.0 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 40.3 ათ. ლარი ანუ გეგმის 125.8 %,

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლის გეგმა შესრულდა 101.6 %-ით. (გეგმა 105.7 ათ.ლარი, ფაქტი 107,4 ათ.ლარი)

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 597.6 ათ. ლარი, დაიხარჯა 590.6 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 98,8 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1359.7 ათ ლარი, დაიხარჯა 1324.6 ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 97.4 %-ით.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 89.2%, ( გეგმა -72.0ათ. ლარი, ფაქტი - 64.2 ათ. ლარი).

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 6305.7ათ.ლარით და დაფინანსდა 4021.1 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 2109.7 ათ.ლარით ა(ა)იპ "ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მონიტორინგი" 1,0 ათ.ლარით, ბინათმშენებლობა 34.9 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 119.1 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 773.4 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 72.8 ათ.ლარით, ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული წყალმომარაგების სისტემების ზედამხედველობისა და კონტროლის ცენტრი"-ს ფაქტიური შესრულებაა 1,9 ათ. ლარი, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 124.8 ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების გეგმა იყო 12.5ათ.ლარით, ფაქტიური ხარჯია 11,2 ათ.ლარი, გეგმა

შესრულდა 89.3%-ით, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 343.3ათ.ლარით, სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები დაფინანსდა 92,0%-ით (გეგმა 46,0 ათ.ლარი, ფაქტი 42,3 ათ.ლარი) ა)იპ "ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი"-ს გეგმა იყო 1,0 ათ.ლარი, ფაქტი 1,0 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 100,0%-ით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 138.9 ათ.ლარით, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების სამუშაოები დაფინანსდა 92.1 ათ.ლარით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გეგმა შესრულდა 64,5 %-ით (გეგმა 39,4 ათ.ლარი, ფაქტი 25,4 ათ.ლარი) მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 31.0ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 97.3ათ.ლარით

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 99.9%-ით ( გეგმა - 632.2 ათ ლარი, ფაქტი - 631.6 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 99.9%-ით (გეგმა -575.5 ათ. ლარი, ფაქტიური - 575.1 ათ. ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 99.8 %-ით (გეგმა -55.4 ათ. ლარი, ფაქტიური - 55.3 ათ. ლარი). ა(ა)იპ ლეჩხუმის განათლების მუზეუმი დაფინანსდა 100 %-ით (გეგმა -1,3 ათ. ლარი, ფაქტიური - 1,3 ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 1156.8ათ ლარით, მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 99.9%-ით, (გეგმა 148.3ათ.ლარი, ფაქტი 148.1ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი,, დაფინანსდა 99.9%-ით (გეგმა 86.6ათ.ლარი, ფაქტი 86.5ათ.ლარი), ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 99.9 %-ით (გეგმა 68.0ათ.ლარი, ფაქტი 67.9 ათ.ლარი) ა(ა)იპ "ცაგერის საჭადრაკო კლუბი" დაფინანსდა 100,0%-ით (გეგმა 1,0ათ.ლარი, ფაქტი 1,0ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 99.1%-ით, (გეგმა 244.4ათ. ლარი ფაქტი 243.1 ათ.ლარი) მუზეუმი და გალერეა დაფინანსდა 99.9%-ით (გეგმა 143.8ათ. ლარი, ფაქტი 143.7ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 95.6%-ით (გეგმა 63.7თ.ლარი, ფაქტი 60.9ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 45.5 ათ. ლარი, ფაქტი 45.5ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 100.0 %-ით (გეგმა - 136.5 ათ ლარი, ფაქტიური - 136.5 ათ. ლარი), კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ.მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადოობა) დაფინანსდა 40.7 ათ.ლარი, ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსდა 7.3ათ.ლარი, ა(ა)იპ "საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო კონტაქტების ცენტრი" დაფინანსდა 2,1ათ.ლარი, ა(ა)იპ ახალგაზრდობის ცენტრი" დაფინანსდა 100,0%-ით

(გეგმა 1,0 ათ.ლარი, ფაქტი 1,0 ათ.ლარი) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 16.6 ათ.ლარი, ა(ა)იპ ტურიზმის ცენტრი დაფინანსდა 1,1ათ. ლარით. ,ა(ა)იპ "ძეგლთა დაცვის ცენტრი" დაფინანსდა 100,0%-ით (გეგმა 1,0ათ.ლარი, ფაქტი 1,0 ათ.ლარი) ,ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 100.0%-ით (გეგმა 25.5ათ.ლარი, ფაქტი 25.5 ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 100.0%-ით, (გეგმა 21.2ათ.ლარი, ფაქტი 21.2 ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 99.8%-ით (გეგმა 60.0ათ.ლარი,ფაქტი 59.9ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 99,8%-ით (გეგმა 47.5ათ.ლარი, ფაქტი 47.4 ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 97.7%-ით (გეგმა 414.7ათ.ლარი ფაქტი 405.2ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 99.7%-ით (გეგმა 96.9 ათ. ლარი, ფაქტი 96.6 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 97.8%-ით (გეგმა 229.3 ათ. ლარი, ფაქტი 224.3 ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 97,7 %-ით (გეგმა 85.5ათ.ლარი ფაქტი 83.5 ათ. ლარით).

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის სახაზინო და საბანკო ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2 098 668 ლარი.

რაც შეეხება 2018 წლის 5 თვის მაჩვენებელს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის #65 დადგენილებით და განისაზღვრა 5300,4 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის განაწილება.

კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2098668.18 (ორი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას ექვსასსამოცდარვა ლარი და 18 თეთრი) ლარი, საიდანაც 84351,55ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთი , ხოლო 2014316,63 ლარი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის 136 განკარგულება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2 530 515 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში გადანაწილდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის

სამუშაოებზე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებებზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 მარტის #607 განკარგულება, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის #1394 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი თანხის ნაწილი 121161 ლარი მიმართოს ცაგერის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად კერძოდ სოფ.გვესოს მეწყრული მოვლენების პირველადი სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელებისათვის 40481 ლარი და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად 80680 ლარი (აქედან 2017 წლის 19-25 დეკემბრის სტიქიით მიყენებული ზარალის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა 40680 ლარი და 40 000 ლარი სოფ.გვესოს მეწყრული მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა). ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველი გახლდათ თავისუფალი გაუნაწილებელი ნაშთის განაწილება კერძოდ

ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი - 30700 ლარი (10000 ლარი მოცეკვავეთა ანსამბლის საზღვარგარეთ ტრანსპორტირება, 9000 ლარი საცეკვაო დარბაზის გათბობა-ვინტილაციის მოწყობისათვის და 11700 შრომის ანაზღაურება.

ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა 3000 ლარი სპორტული ინვენტარის შესაძენად.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები) – 3000 ლარი (სოც უზრუნვე -1600 და საქ.მომსახ 1400ლარი)

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის #955 განკარგულება, რის საფუძველზეც მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტს სოფ. ჩხუტელში ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობიდან გვირაბამდე ასფალტირების სამუშაოებისათვის გამოეყო 475 344 ლარი, რომელიც შემოსულობებში აისახა გრანტებში, ხოლო გადასახდელებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 10312,1 ათ.ლარს.

**ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 2620,4 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 2370,1 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 90,4 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 37,8 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა**



შეადგინა 239,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 634,1%-ით, საშემოსავლო გადასახადის გეგმა იყო 47,5ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 108,9 ათ.ლარი.გეგმა შესრულდა 229,3 %-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 2479,3ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 1979,5 ათ ლარი, ანუ გეგმის 79,8%, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა იყო 1913,5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1913,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100,0%-ით. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 66,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 66,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100 %-ით., კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 500,0 ათ.ლარს, ფაქტიური შემოსავალი არ ფიქსირდება.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 55,8 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 42,0 ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 75,3 %-ით, მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 3,0 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 0,7ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 23,3 %-ით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 12,2 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 21,6 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 177,0 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 1,1 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 2,1 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 190,9%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 6,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 11,4 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 190%-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 33,0 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 6,9 ათ. ლარი ანუ გეგმის 20,9 %,

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 119,3 %-ით. (გეგმა 14,0 ათ.ლარი, ფაქტი 16,7ათ.ლარი)

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 263,6 ათ. ლარი, დაიხარჯა 257,4 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 97,6 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 565,8 ათ ლარი, დაიხარჯა 508,7 ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 89,9 %-ით.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღიჯვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 85.9%, ( გეგმა -29,8ათ. ლარი, ფაქტი - 25,6 ათ. ლარი).

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსდა 623,5 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 146,6 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 53,6 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 146,1 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 5,0 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 4.7 ათ. ლარი,

საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ფაქტიური ხარჯია 4.4 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 150,4ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 78,7 ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 18,2 ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 7,7ათ.ლარით.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 99,8%-ით ( გეგმა - 265,4 ათ ლარი, ფაქტი - 264,9 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 99,9%-ით (გეგმა -242,3 ათ. ლარი, ფაქტიური - 242,2 ათ. ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 98,3 %-ით (გეგმა -23,1 ათ. ლარი, ფაქტიური - 22,7ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 505,8ათ ლარით, მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 71,3თ.ლარით, საფეხბურთო კლუბი „ხვამლი,, დაფინანსდა 33,5ათ.ლარით,ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 39,1 ათ.ლარით კულტურის ცენტრი დაფინანსდა 104,3 ათ.ლარით, მუზეუმი და გალერეა -50,9ათ.ლარით, სამუსიკო სკოლა 26,9ათ.ლარით სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 18,7ათ.ლარით, ბიბლიოთეკები დაფინანსდა 57,9 ათ. ლარით, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ.მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადოობა) დაფინანსდა 14,9 ათ.ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 10,1 ათ.ლარით, „ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" 10,3 ათ.ლარით, ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი 10,5 ათ.ლარით, ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი 32,3ათ.ლარით, ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 24,4 ათ.ლარი.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 99,4%-ით (გეგმა 183,6 ათ.ლარი ფაქტი 182,6ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 38,7 ათ.ლარით ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 110,5 ათ.ლარით. ომის ვეტერანთა სოც.უზრუნველყოფა 600 ლარით და უფასო სასადილოები 32,8 ათ. ლარით.

2017 წელს არსებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას ჩაეყარა საფუძველი, მათ შორის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს წარმოადგენდა ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობისა და მწვანე თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოთა განხორციელება, რომლის დასრულება 2017 წლისათვის იყო გათვალისწინებული, „მწვანე თეატრის“ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უხარისხო საშენი მასალების

გამოყენებას, რამაც თავი იჩინა ზამთრის პერიოდში, ხოლო სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულება ვერ მოხერხდა მშენებელი ფირმის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, თუმცა სამუშაოთა დაახლოებით 95% შესრულებულია.

2017 წლის დეკემბრის თვეში გაფორმდა ხელშეკრულება 1200000 ლარზე სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა განსახორციელებლად, რომლის დასრულება 2018 წლის 1 აგვისტოსთვის იყო გათვალისწინებული, მიუხედავად ამისა მომწოდებელმა შპს „ორბიტა“-ს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის შეასრულა მხოლოდ 149929 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 13%-ს შეადგენს. სამუშაო გრაფიკის დარღვევის გამო შპს „ორბიტა“-ს დაეკისრა საჯარიმო სანქციები ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,01 ლარის ოდენობით, ამასთან საკითხი დასმულია სატენდერო კომისიის წინაშე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

გარდა ამისა ქ.ცაგერში განხორციელდა ასლანიკაშვილის, ჭავჭავაძისა და ნინოშვილის ქუჩების ასფალტის საფარის სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯა 660974 ლარი, სოფ.ქვ.ცაგერის სანიაღვრე არხების მოწყობისათვის 646955 ლარი, ლაილაშის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად 59560 ლარი, ლესინდი-წილამიერი-ორბელის, ზუბი, ქორენიშისა და ოფიტრის შიდა სასოფლო გზების, გამგეობის შენობის ეზოს, ჩხუტელის სანიაღვრე არხის მოწყობისა და მემორიალის მოწყობის მიზნით დახარჯულმა თანხამ 70000 ლარი შეადგინა, სულ 2017 წელს რ.გ.ფ. დაფინანსებით დახარჯულმა სახსრებმა 1437489 ლარი შეადგინა.

ამ პერიოდში დასრულდა 2015 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოები, რაზედაც დახარჯული იქნა 457612 ლარი, რომლითაც ძირითადად აღდგენილია შიდა სასოფლო გზები და წყალსადენები.

2017 წელს დასრულდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღდგენითი სამუშაოები, რაზედაც მთლიანობაში დაიხარჯა 605111 ლარი, ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე შიდა სასოფლო გზების, ნაპირსამაგრის, მდინარეთა კალაპოტების გაწმენდის, სანიაღვრე არხების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, სულ 30 ობიექტი.

გარდა ამისა ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა ლაილაშის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები 15623 ლარი, ქ.ცაგერში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად 35000 ლარი, სპორტული დარბაზის გათბობის მოწყობისათვის 19244 ლარი, ქ.ცაგერში საკანილიზაციო სისტემის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად 6713 ლარი, სპორტული ტრენაჟორების შესყიდვა-მოწყობის მიზნით 17613 ლარი, თავისუფლების ქუჩაზე მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოწყობისათვის 22164 ლარი, ორბელში საზოგადოებრივი საპირფარეოს მოწყობისათვის 7100 ლარი, სულ 123457 ლარი.

სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებასთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების მიზნით 2017 წელს სულ დაიხარჯა 86752 ლარი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა 2018 წლის განსახორციელებელი პროექტები დროულად დაგეგმილიყო და ამჟამად მიმდინარეობს პროექტების განხორციელება.

2018 წლისათვის შემუშავებული იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისად მომზადდა საპროექტო წინადადებები, რაც აისახა საქ. მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N 136 განკარგულებაში, რომლის შესაბამისად გამოყოფილმა სახსრებმა წლის განმავლობაში 2617745 ლარი შეადგინა, მათ შორის ქ. ცაგერის ქუჩების ასფალტირების სამუშაოები, რითაც დასრულდა წერეთლის, ასათიანის, ახვლედიანის, სტადიონის ქუჩების სრული რეაბილიტაცია, ხოლო ამ მიზნით დახარჯულმა თანხამ 937672 ლარი შეადგინა. დასრულდა ქ.ცაგერში, სოფ. ქვ.ცაგერში, ოყურეშში, ზუბსა და ორბელში სპორტული ტრენაჟორების მოწყობა, რაზედაც გაწეულმა დანახარჯებმა 84284 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლისათვის სათანადო ყურადღება დაუთმო ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობის სამუშაოთა წარმოებას. ამ მიზნით შემუშავებული საპროექტო წინადადებების შესაბამისად მიმდინარეობს სოფელ ოფიტარის ჩანჩქერებისა და წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები, მურის ციხეებთან მისასვლელი ბილიკებისა და კლდეზე შეკიდული საფეხმავლო ბილიკის მოწყობა, ორბელისა და ცაგერის გადასახედების, ღვირიშისა და ჩქუმის ჩანჩქერების გადასახედებისა და შემოგარენის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, რაზედაც ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოთა წარმოების პროცესი, ამ ეტაპისათვის შესრულებულია 20%, ხოლო მისი დასრულებისათვის 615454 ლარი დაიხარჯება.

ამჟამად, ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს ქ.ცაგერში N 2 საბავშვო ბაღისა და უმწეოთა სასადილოს სარეაბილიტაციო სამუშაოთა ჩასატარებლად, რომლის განხორციელების მიზნით დაგეგმილია 494252 ლარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება, ხოლო მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის ათვისებულია 234465 ლარი, სამუშაოთა მიმდინარე პროცესის შესაბამისად მიმწოდებელი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამ სეგმენტში სამუშაოები სათანადო ვადებში დასრულდება.

ამ ეტაპზე გამოცხადებულია ტენდერი სოფ. ქვ. ცაგერის ახალდასახლების უბანში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოთა საწარმოებლად, რაზედაც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უახლოეს პერიოდში გაფორმდება ხელშეკრულება მომწოდებელ საზოგადოებასთან და სოფელ ქვ. ცაგერის მცხოვრებლების წინაშე მდგარი პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება.

მოსამზადებელი საპროექტო წინადადებების შესაბამისად მიმდინარე წლისათვის დაიგეგმა სოფ. ლაჯანაში ახალი ბაღის მშენებლობა, რაზედაც რ.გ.ფ დაფინანსებით გამოყოფილი იქნა 370326 ლარი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სატენდერო

დოკუმენტაციის მომზადებისათვის, რომლის შესაბამისად გონივრულ ვადაში გამოცხადდება სამუშაოთა წარმოებაზე ტენდერი, ხოლო სამუშაოთა დასრულება მიმდინარე წლის ბოლოსათვისაა გათვალისწინებული.

გარდა ამისა მომზადდა საპროექტო წინადადება მთის განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ობიექტების შესახებ, რაზედაც წარმოდგენილი იქნა 4 წინადადება და შესაბამისად სათანადო ასიგნებანი გამოიყო სოფ.ჩხუტელში გზის ასფალტირების სამუშაოების განსახორციელებლად, ამჟამად მიმდინარეობს პროექტის განხორციელების სამუშაოები და გათვალისწინებულია 475344 ლარის სამუშაოთა შესრულება. მიმდინარე წელს დასრულდა მთის განვითარების ფონდის დაფინანსებით ქ.ცაგერში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა, რაზედაც გათვალისწინებულია 307170 ლარის სამშენებლო სამუშაოების შესრულება.

მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების საფუძველზე მოხდა რ.გ.ფ. დაფინანსებული ობიექტების 5%-იანი თანადაფინანსება, რამაც ჯამში 142061 ლარი შეადგინა. სამსახურის მიერ მომზადდა 2018-2020 წლების სამომავლო გეგმა და საპროექტო წინადადებები, რომლებიც გადაეგზავნა სამხარეო ადმინისტრაციას საბჭოს სხდომაზე განსახილველად, რაშიდაც ასახულია მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული საკითხები და დასახულია მისი რეალიზაციის სამოქმედო გეგმა.

ამასთან ერთად 2017 წლის დეკემბრის თვესა და მიმდინარე წლის 8-23 ივნისის სტიქიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, ხიდ-ბოგირებს, წყალსადენებს, ნაპირდამცავ ნაგებობებს. შესაბამისად აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას დაექვემდებარა 70 ობიექტი, რის თაობაზეც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო მასალები გადაიგზავნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სადაც ვაყენებით წინადადებას 1356000 და 1664000 ლარის გამოყოფის შესახებ. ამჟამად საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N 1622 განკარგულების შესაბამისად სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების ჩატარების მიზნით გამოყოფილი იქნა 1000000 ლარი, რაზედაც ამ ეტაპზე შედგენილია სათანადო დეფექტური აქტები, მზადდება საპროექტო დავალებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

ამასთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მომზადებულია ტექნიკური დოკუმენტაცია 2017 წლის დეკემბერში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განსახორციელებლად, საკითხი დასმულია შესაბამისი სამინისტროს წინაშე დაფინანსების მიღებისათვის.

სამსახურის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მომზადდა საპროექტო დავალებები და შესაბამისად გამოცხადდა ტენდერები შემდეგ პროექტებზე. ქ.ცაგერში ჩაკვეტამის ქუჩის კანალიზაცია, აღმაშენებლის N 45 საერთო საცხოვრებელი ბინის კანალიზაცია, აღმაშენებლისა და ბარათაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია. ქ.ცაგერში თავისუფლების ქუჩის ჩიხში მდებარე „ლომის წყალი“-ს რეაბილიტაცია, სოფ.დებვირის ღია მუზეუმის მოწყობის საპროექტო

დოკუმენტაცია, ქ.ცაგერისა და სოფ.გვესოს დამაკავშირებელი შიდა გზის რეაბილიტაცია, ქ.ცაგერში აღმაშენებლის ქ. N 73 ყოფილი საგზაო სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული შენობის, ესთეტიკური აღზრდის ცენტრის სარემონტო სამუშაოების და ქ.ცაგერის სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს, ასევე დასრულდა 2017 წლის 19-25 დეკემბრის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რაზედაც დახარჯული იქნება 71127 ლარი.

ამასთან ერთად სამსახურის მიერ განხორციელდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების ჩატარება, რაზედაც მიმწოდებელთან სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებულია 22000 ლარის სამუშაოთა შესრულება, ხოლო 6818 ლარი დაიხარჯება მდ. ჯონოულზე ხიდის შესაკეთებლად საჭირო მასალების შესყიდვისათვის.

მიმდინარე პერიოდში საქართველოს მთავრობის N 57 დადგენილების საფუძველზე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ შესაბამისად მომზადდა და გაიცა სამშენებლო ნებართვები: მახაშის საჯარო სკოლის, სოფ.ლასურიაშის რძის გადამამუშავებელი საწარმოს და ქ.ცაგერში ყოფილი სასურსათო მაღაზიის შენობის მშენებლობა-რეკონსტრუქციის შესახებ.

მომზადდა ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლების ავარიულობის თაობაზე საინჟინრო- გეოლოგიური დასკვნები, სამსახურმა ადგილზე გასვლით შეისწავლა 6 სახანძრო შემთხვევა და სარეზერვო კომისიის გადაწყვეტილებით გაიცა შესაბამისი კომპენსაციები.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გაგზავნილია 19 ბენეფიციარის სტიქიით დაზარალებული ოჯახების მასალები კატეგორიის მინიჭებით და შესაბამისი ფოტო სურათებით, ამასთან კატეგორია შეეცვალა 5 ოჯახს დაზარალების ხარისხის ზრდის გამო, მეორე კატეგორიიდან გადაყვანილი იქნენ პირველ კატეგორიაში და დამატებით მასალები გაგზავნილი იქნა სამინისტროში.

ადგილზე შესწავლილი იქნა 7 ოჯახის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა, მაგრამ იმის გამო, რომ საცხოვრებელი სახლების ავარიულობა გამოწვეული იყო არა სტიქიით არამედ სიძველით უარი ეთქვა დახმარებაზე.

მერიის მიერ მოწვეულ გეოლოგებთან ერთად ადგილზე იქნა შესწავლილი 46 საცხოვრებელი სახლი და შესაბამისი მასალები, გეოლოგიური დასკვნები, დაეგზავნა ყველა განმცხადებელს, ველოდებით 7 ოჯახის გეოლოგიურ დასკვნას. სულ სამინისტროში გაგზავნილია 360 -მდე სტიქიით დაზარალებული ოჯახების მასალები.

ზედამხედველობის სამსახური მუშაობას შეუდგა ა/წლის 11 ივნისს, ზედამხედველობის სამსახურმა ინსპექტირება გაუწია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს. კერძოდ, გ.ახვლედიანის, ს.ისიანის, ა.წერეთლის, ბარათაშვილის და სტადიონის ქუჩებზე მიმდინარე ასფალტირების სამუშაოებს, ასევე 5 კომპლექტი ფიტნეს-ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოებს, კერძოდ, ქ.ცაგერში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე, სოფელ ზუბში, სოფელ ოყურეშში, სოფელ ორბელში და სოფელ ქვედა ცაგერში.

აგრეთვე ინსპექტირება გაეწია ქ.ცაგერში უმწეოთა სასადილოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობის ობიექტებზე სამუშაოებს, კერძოდ ლადო ასათიანის სახელობის წყაროსთან მდებარე ობიექტს, სოფელ ჩქუმში ე.წ. „ცივი ქვის“ ტერიტორიაზე მდებარე ობიექტს და ქ.ცაგერში მურის ციხესთან არსებული ტურისტული ბილიკების მოწყობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულ ობიექტებზე ზედამხედველობის სამსახურმა გასცა შესაბამისი მითითებები და მოამზადა სათანადო დასკვნები.

ზედამხედველობის სამსახური აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მერის მიერ ბრძანებით შექმნილ მიღება-ჩაბარების კომისიის მუშაობაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია, ითვალისწინებს რა მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ მდგომარეობას, ბიუჯეტიდან მუდმივად გამოყოფს გარკვეულ თანხას მოსახლეობის ერთჯერადი დახმარებისათვის. ამ თანხის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ამავე დროს იზრდება სოციალურ პროგრამებში ჩართულ მოქალაქეთა რაოდენობაც.

მერიაში შექმნილია სოციალურ საკითხთა განმხილველი საბჭო, რომლის მუშაობას კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

2018 წლის დასაწყისში შემუშავებულ და საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემისა და მიღების წესი (დადგენილება N3 17/01/2018წ) მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება, რომლის განხორციელებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 94987 ლარი, წლის გან-ში საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე იხარჯება 2.19 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2 უმწეოთა სასადილო: ქ.ცაგერში, რომელიც ემსახურება 80 ბენეფიციარს და სოფ. ლაჯანაში ემსახურება 36 ბენეფიციარს. უნდა აღინიშნოს, რომ წელს უფასო კვებაზე მყოფი ბენეფიციართა რაოდენობა 108-დან 116-მდე გაიზარდა. გაცემის წესის თანახმად 116 ბენეფიციარზე და 6 მომსახურე პერსონალზე გაიცა საშობაო და სააღდგომო საჩუქრები.

მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება ქ.ცაგერში არსებული უფასო სასადილოს კაპიტალური რემონტი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბენეფიციართა მომსახურების საკითხს.

არსებული დახმარებების გაცემის წესში გათვალისწინებულია მძიმე დაავადებების დროს მომსახურების დაფინანსება. ამ მუხლით გათვალისწინებულია ქრ. მძიმე დაავადებების შემთხვევაში: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების, გულის ქრ. მე-2-3ხ-ის უკმარისობით მიმდინარე, ცერებლარული ვასკულარული დაავადებები, შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმები, სასუნთქი სისტემის დაავადებები სუნთქვის უკმარისობის მე-2-3ხ-ით მიმდინარე, პარკინსონის დაავადება, ეპილეფსია, გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადებების მძიმე შემთხვევების და ა.შ ერთჯერადი დახმარება. ამავე მუხლში მიეცემა დახმარება მძიმე ოპერაციების დროს თანაგადახდის სახით გაწეული ხარჯების 50%, არაუმეტეს 1000 ლარისა, თუ ეს ხარჯი აჭარბებს 400 ლარს. დახმარება გაიცემა აგრეთვე ძვირადღირებული გამოკვლევების შემთხვევაში 50%-ის ოდენობით, თუ გადახდილია 300 ლარი და მეტი. წელს პროგრამას დაემატა ახალი პუნქტი-სხივური და ქიმიოთერაპიული მკურნალობისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 50%-ით, თუ ეს ხარჯი აღემატება 1000 ლარს.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს დიალიზზე დამოკიდებულ პაციენტთა დახმარების პროგრამა. რეგისტრირებულია ამ მუხლში 10 პაციენტი და თითოეულზე ყოველ თვეში თითოეულზე გაიცემა 150 ლარი. დღემდე ამ მიზნით გაცემულია 9000 ლარი.

განსაკუთრებით მოწონებით სარგებლობს ორსულთა დახმარების პროგრამა, რომელიც მესამე წელია მუშაობს. მ/ წლის 6 თვის გან-ში მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველ 8 ორსულს, თითოეულს 100 ლარის პროდუქტის სახით. ამ მიზნით გაცემულია სულ 2100 ლარი.

გაცემის წესში გათვალისწინებულია უსახლკაროთა სოციალურად დაუცველი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება საცხოვრებელი ბინის ფართით. ამ მიზნით დღემდე რეგისტრირებულია სამი ოჯახი, რომელთა მომსახურებაზე გაცემულია 6 თვის გან-ში 850 ლარი (თვეში 100 ლარის ოდენობით).

ფაშიზზე გამარჯვების დღის 73-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები გაიმართა 9 მაისს ცაგერის მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, საზოგადოების წარმომადგენლებმა, ახალგაზრდობამ გვირგვინით და ყვავილებით შეამკეს შინმოუსვლელთა მემორიალი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამით მე-2 მსოფლიო ომის 3 მონაწილეზე 9 მაისთან დაკავშირებით გაიცა ერთჯერადი დახმარება - თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ უგრეხელიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გუგავა, მათი მოადგილეები, ოჯახებში ესტუმრნენ და გამარჯვების დღე მიულოცეს ომის ვეტერანებს: ვენედიქტე კაბოსნიძე (სოფ. საირმე), აკაკი ყურაშვილს (სოფ. ოყურეში), ჟორა მანდარიას (სოფ. ისუნდერი) და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს მათ.



ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანებისათვის ყოველწლიურად (17 ოქტომბერს) გაიცემა დახმარება თითოეულზე 150 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს აგრეთვე ხანდაზმულთა, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა, მარტოხელა მშობლების ერთჯერადი დახმარებები. ომის ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, მარტოხელა მოქალაქეების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურეობის დაფინანსების პროგრამები.

წელს სიახლეა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამაში. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელსაც ჰყავთ 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი დახმარება მიეცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, ხოლო ტყუპი ახალშობილის შეძენისას გაიცემა 500 ლარი, სამი ტყუპის შეძენისას - 1000 ლარი. ამ პროგრამით გაცემულია სულ 7700 ლარი.

მ/წლის განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შემოსულია სულ 805 განცხადება. აქედან 38 ბენეფიციარს ეთქვა უარი. ერთჯერადი დახმარება გაეწია 133 ოჯახს 18850 ლარის ოდენობით. მიმე ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურეობისათვის გაიცა 450 მოქალაქეზე სულ 96 258 ლარი.

მ/წელს სოციალურ პროგრამებს დაემატა ჩერნობილის ატომურ ელ. სადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაზე მონაწილე და 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულების დახმარების პროგრამა, რომლის მიზნით გაიცა დახმარება 3 მოქალაქეზე სულ 750 ლარის ოდენობით.

2017 წლის 18 ნოემბერს ქალაქ ცაგერში იმყოფებოდნენ თურქულ-ქართული სმენის ცენტრის - „სისერი“ და „ჰელიქსი“ (ხელმძღვანელი ბატონი ფარუქ ჰამბა კოლოტაშვილი) წარმომადგენლები, რომლებმაც სმენის უფასო კვლევები ჩაუტარეს 30 პაციენტს, აქედან 12 ბენეფიციარს გადაეცა სასმენი აპარატი. 10 პაციენტს, რომელთაც ესაჭიროებათ აღნიშნული აპარატები, დახმარება გაეწევა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამიდან. კვლევებს აწარმოებდა პროფესორი მერაბ ხვადაგიანი.

მ/წლის 1 ივნისს პარლამენტის თავმჯდომარის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით ქ. ქუთაისმა უმასპინძლა მაღალმთიანი რეგიონების მე-7-9 კლასის სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა ამ ღონისძიებისათვის შეარჩია სოციალურად დაუცველი 10 მოსწავლე და მერის მოადგილესა და ორ თანმხლებ პირთან ერთად უზრუნველყო ამ ბავშვების მონაწილეობა ქ. ქუთაისში დაგეგმილ პროექტში.

ივნისის თვეში მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პირველ პირთა და თურქული კომპანია „ENKA“-ს შორის შეთანხმების საფუძველზე მოხდა უკიდურესად გაჭირვებულ 50 ოჯახზე საკვები პროდუქტების გადაცემა.

მ/წელს დაგეგმილია ქ. ქუთაისიდან ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადის ამოყვანა მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო მომსახურეობის გაწევის მიზნით. ამავე დროს ივლისის თვის ბოლოს ბერძნული კომპანია „ჰიპოკრატე“-ს მოწვევით ჩატარდება

მამოლოგებისა და გინეკოლოგების მიერ მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევა სიმსივნური დაავადებების ადრეული გამოვლენისა და პროფილაქტიკის მიზნით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად მუშაობს სოციალური პროგრამების დახვეწასა და განახლებაზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

2017 წელში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა განისაზღვრა 12 წვევამდელით.

გამწვევ კომისიაზე გამოძახებული იყო 62 წვევამდელი, ჩარიცხულია: თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში 6 წვევამდელი, შსს გასამხედროებულ ქვედანაყოფში 9 წვევამდელი, სულ 15 წვევამდელი.

საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტებით გადავადდა 47 წვევამდელი. აპრილის თვეში ჩატარებული იქნა 2000 წელში დაბადებული ჭაბუკების აღრიცხვა, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 44 ჭაბუკი. ზღვრული ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩაირიცხა 1990 წელში დაბადებული 48 წვევამდელი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა განხორციელდება 2018 წლის 26 იანვრიდან 2018 წლის 30 ივნისამდე.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში 5 წვევამდელით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფში 3 წვევამდელი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში 1 წვევამდელი, სულ 9 წვევამდელი.

გამწვევ კომისიაზე გამოცხადებული იყო 92 წვევამდელი, ჩარიცხული გვყავს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში 6 წვევამდელი, შსს სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფში 4 წვევამდელი, სულ 10 წვევამდელი.

საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტებით გადავადდა 82 წვევამდელი. მარტის თვეში ჩატარებული იქნა 2001 წელში დაბადებული ჭაბუკების აღრიცხვა, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 41 ჭაბუკი. ზღვრული ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩაირიცხა 1991 წელში დაბადებული 33 წვევამდელი.

მოგახსენებთ, რომ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური არის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის, თვითმმართველობის ერთეულისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას, მართვის პროცედურების სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრას და პრევენციას.

სამსახური საქმიანობას წარმართავს 2018 წლის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წლიური გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მიერ. 2017 წლის 28 დეკემბერს. წლიური გეგმის მიხედვით სულ შესამოწმებელია 19 ობიექტი, დღეის მდგომარეობით შემოწმებულია 6 ობიექტი, შემოწმება მიმდინარეობს მე-7-ე ობიექტის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 2-91. 01.05.2018 წ. შექმნილია მუშა ჯგუფი შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ. მომზადებული აუდიტორული ანგარიშების განხილვის შესახებ. განხილულია 2 ანგარიში ა(ა)იპ „ცაგერის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულება“ და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“. აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელებს მიეცათ მითითებები 2017 წელში დაშვებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ.

შემოწმებული ობიექტების აუდიტორული ანგარიშების განხილვა პარალელურად მიმდინარეობს.

მოგახსენებთ, რომ მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წლის 1 - იანვრიდან 10 - ივნისამდე ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები.

### **განათლების სფეროში**

- განხორციელდა ინტელექტუალური პროექტი „რა, სად, როდის?“
- განხორციელდა პროექტი „კარცერი ლუქსი“.
- დედაენის დღესთან დაკავშირებით მოეწყო კონკურსები კალიგრაფიაში და თემატურ ხატვაში, შემოქმედებით წერასა და ლექსის მხატვრულ კითხვაში.  
აგრეთვე მოეწყო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა დათვალიერება და კულტურის ცენტრში ჩატარდა საზეიმო კონცერტი „გულს მისვენია ხატადა, ენა მთისა და ბარისა“.
- სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ინტელექტის დღის ორგანიზებაში.

- ჩატარდა მაქსიმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი.
- ჩატარდა დედის დღესთან დაკავშირებით კაფე-საღამო.
- აღინიშნა 9- მაისის დღესასწაული .
- ბავშვთა დღესთან დაკავშირებით მოეწყო ანიმატორთა შოუ ქ. ცაგერის ცენტრში და სოფელ ორბელში.
- მოეწყო მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება „ღამე მუზეუმში“.
- ორგანიზება გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან მიძღვნილ ღონისძიებებს. ქ. ცაგერში და ხვამლის მთაზე.

### **სპორტის სფეროში**

- ორგანიზება გაეწია სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მინი ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, გეზრბენის, ვაჟთა და გოგონათა გუნდების მონაწილეობას რეგიონალურ პირველობებში.
- ორგანიზება გაეწია სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ შეჯიბრებების ჩატარებას ქ. ცაგერში გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის.
- ორგანიზება გაეწია რეგიონის ჩემპიონების ფრენბურთის ქ. ზუგდიდში და გეზრბენის ქ. ქუთაისში ვაჟთა და გოგონათა გუნდების მონაწილეობას საქართველოს ზონალურ პირველობაში, სადაც გეზრბენში ვაჟთა გუნდმა მოიპოვა საპატიო III ადგილი.
- ჩატარდა მუნიციპალური შეჯიბრება ფეხბურთში, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ რეგიონული ლიგის გათამაშებაში.

### **ახალგაზრდულ სფეროში**

- ორგანიზება გაეწია ახალგაზრდობის შეხვედრას ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ სტეფანესთან.
- მოეწყო 9 - აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- ჩატარდა საჯარო ლექცია ახალგაზრდობასთან თემაზე „ლეჩხუმის კულტურული მემკვიდრეობა“.

- ახალგაზრდობის სხვადასხვა პროექტში ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოეწყო ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების ხელმძღვანელთა შეხვედრა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სოციალურად აქტიურ მოსწავლეებთან პროექტის „განავითარე შენი რეგიონი“ ფარგლებში, მოეწყო ლიდერების პრეზენტაციები.
- მოეწყო ახალგაზრდული ფესტივალის „სპორტი ბარიერების გარეშე“ მუნიციპალური შეჯიბრებები ქუჩის ფეხბურთში, კალათბურთში, სპრინტში და ჭადრაკში. გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ შეჯიბრებებში.

**ჭადრაკში** გოგონათა შორის დავიკავეთ I ადგილი.

**ქუჩის ფეხბურთში** (ვაჟები-გოგონები) II ადგილი.

**სპრინტში** (ვაჟები-გოგონები) II ადგილი.

### **ტურიზმის სფეროში**

- ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ტურისტების ვიზუალური აღრიცხვა და მათი მოძრაობის ანალიზი.
- ლეჩხუმის ტურისტული ცნობადობის ამაღლების კუთხით სისტემატიურად ხდება ღირშესანიშნაობების შესახებ ფოტო და ვიდეო მასალების განთავსება ინტერნეტ სივრცეში.
- ვმუშაობთ ტურისტულ გზამკვლევზე, არის მონახაზი 9 - ტურისტულ მარშრუტზე, რომელიც დაიბეჭდება, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.
- მუნიციპალიტეტში აღრიცხულია კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე  
44 -ძეგლი, ხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობების სააგენტოდან შესაბამისი დოკუმენტაციის გადმოცემასთან დაკავშირებით.
- კერძო სექტორის ჩართულობით მიდის ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტის კურორტი ლაშიჭალის, ქულბაქის ტბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
- მზადდება წინადადებები ქ. ცაგერის ცენტრში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომავალი ფუნქციონირებისათვის ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს წინაშე მატერიალურ-ტექნიკური ბაზების უზრუნველყოფის, თანამშრომელთა გადამზადების, უნიფორმის მიწოდების, ბეჭდვითი-სარეკლამო მასალის მომარაგების და მომავალში მისი მართვის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

- სამსახურის მიერ კომპეტენციის ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის, კულტურული, სპორტული, ტურიზმის და ახალგაზრდობის დაწესებულებების საქმიანობის მორიტორინგი.
- მიმდინარე პერიოდში სამსახურის თანამშრომელთა მიერ შესწავლილი იქნა და შესაბამისი პასუხი გაეცა 100 - ზე მეტ. წერილს და განცხადებას.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მიმდინარე პერიოდში სამსახურის ეგიდით მომზადებული იქნა ინფორმაციები საგანმანათლებლო, სპორტის და ტურიზმის საკითხებზე. რეზედაც მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა შესაბამისი განკარგულებები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს, განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარს, მის მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

2018 წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკური სამსახურის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება,

2018 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა

მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის საკითხს და უზუფრუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებებს, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებისათვის, ამავე პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა მუნიციპალური ქონებების უზუფრუქტით და იჯარის ფორმით გადაცემა, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ადმინისტრირებას უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დაგვა-დასუფთავების მოსაკრებელი, ქონების გადასახადი და სხვა.

**ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 4236,6 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3787,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 89,4 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 154,3 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 540,9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 350,5%-ით, საშემოსავლო გადასახადის გეგმა იყო 57,4 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 106,5 ათ.ლარი.გეგმა შესრულდა 185,6 %-ით.**

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 3965,2ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3093,7 ათ ლარი, ანუ გეგმის 78,0 %, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა იყო 2296,2 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 2296,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100,0%-ით. მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 79,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 79,2 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100,3 %-ით., კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 1590,0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 718,3 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 45,2 %-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 59,7 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 46,6 ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 78,0 %-ით, მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 3,5 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 0,7ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 21,1 %-ით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 12,2 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 21,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 176,3 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 1,5 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 2,2 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 145,5%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 7,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 9,5 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 136,3%-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 33,0 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8,2 ათ. ლარი ანუ გეგმის 24,8 %,

დაწყებულია სტატისტიკური ანგარიშის დოკუმენტაციის მომზადება და რწმუნებულებთან კავშირი, მისი შესწავლა და დამუშავება.

სამსახური სერიოზულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალური ქონების საიჯარო წესით გაცემულ საკითხებს, დღეისათვის მოქმედებს 19 საიჯარო ხელშეკრულება, საიდანაც ყოველთვიურად ბიუჯეტი იღებს გარკვეულ შემოსავალს, ასევე გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტით მუნიციპალური ქონების გადაცემის 3 ხელშეკრულება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციასთან.

მიმდინარე წელს სამსახურს მოუწია სერიოზული ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხისათვის როგორცაა ადრეულ წლებში დარეგისტრირებული მუნიციპალური ქონების ხელახალი რეგისტრაცია, რადგან იმ პერიოდში არსებული სუსტი ტექნიკური საშუალებების გამო ფიქსირდებოდა გადაფარვები სხვადასხვა კერძო სუბიექტების ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან უკვე გასწორდა N2 საბავშვო ბაღის, კუტურის სახლის და რაიონული საკრებულოს შენობის კოორდინატები, გასწორების პროცესშია ძველი ადმინისტრაციული შენობისა და სპორტდარბაზის შენობის კოორდინატები.

ასევე შემოსულია 60-მდე განცხადება მეორადი მასალის მოთხოვნასთან დაკავშირებით ,რაზედაც მიდის მუშაობა.

გარკვეული შეფერხებები ფიქსირდება დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების და გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან ქირის გადაუხდელობის კუთხით, თითქმის ყველა იურიდიულ პირთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, მოსაკრებლის გადასახადის თაობაზე, ასევე ა(ა)იპ კომუნალური მეურნეობა აწარმოებს თანხის ამოღებას მოსახლეობიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის არჩევნების შემდეგ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, იმისათვის, რომ უფრო მოქნილი და ოპტიმალური გამხდარიყო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობა ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. 16 მეორადი სტრუქტურული ერთეულიდან (განყოფილება) შემცირდა 11 განყოფილება. შტატების შემცირება მოხდა მერიის 5 სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ შტატების შემცირება, მითუმეტეს მაღალმთიან რეგიონში, სადაც დასაქმების პერსპექტივა ძნელია, მტკივნეული პროცესია, აღნიშნული მერიაში ჩატარდა ზედმეტი დამაბულობის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით არ დაწყებულა არცერთი სამართლებრივი დავა.

რომ შეგვესრულებინა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნები მერიის საშტატო რიცხოვნობასთან დაკავშირებით 2017-2018 წლის განვლილ პერიოდში მერიაში 22 ვაკანსიაზე გამოცხადდა ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 203 პიროვნებამ. კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა კონკურსში გამარჯვებულთ გამოვლენა და შესაბამის ვაკანსიაზე მათი დანიშვნა.

ადგილობრივი რესურსების მართვის განყოფილებამ, საჯარო სამსახურის ვებ გვერდის მეშვეობით შექმნა საკადრო მოძრაობის ერთიანი ელექტრონული და სარეზერვო კადრების ბაზა. მერიაში განხორციელდა პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება და დაინერგა მოხელეთა ყოველწლიური შეფასების სისტემა. საკანონმდებლო ცვლილებების გამო შესაბამისად ჩასწორდა ყველა ადმინისტრაციული აქტი, რომელიც საკადრო საკითხებს შეეხებოდა.

როგორც თქვენთვის ცნობილია ადმინისტრაციული სამსახური, გარდა სამსახურის დებულებით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულებებისა ჩვენგან მინიჭებული აქვს რამდენიმე დელეგირებული უფლებამოსილება.

გრძელდება მუშაობა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესასრულებლად. 2-17-2018 წლის 6 თვეში მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 300-მდე მოქალაქეს, სხვადასხვა გარემოებების გამო შეუწყდა, შეუჩერდა სტატუსის მოქმედება 67 სტატუს მატარებელს. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგის პროცესი, რომელიც დაახლოებით 3000-მდე მოქალაქის მუდმივად ცხოვრების სტატუსის დადგენას ითვალისწინებს.

ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს მიწებით პროვადული და სისტემური რეგისტრაციის საკითხების რეგულირებას. საანგარიშო პერიოდში მერიაში შემოვიდა განაცხადი 700 მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მოთხოვნით. ყოველ მათგანზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით მიღწეული იქნა, რომ 73%-ზე მეტი უკვე რეგისტრირებულია. უნებართვოდ დაკავებული მიწების აღიარების კომისიამ განიხილა 123 განაცხადი. რომელთაგან დადებითად იქნა გადაწყვეტილი 88 მიწის ნაკვეთის აღიარება.



განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. მოქმედება დაიწყო მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდმა, სადაც ქვეყნდება სხვადასხვა მასალები , მათ შორის ადმინისტრაციული აქტები. მოთხოვნილი 16 საჯარო ინფორმაციიდან 16-ივე დაუგვიანებლად იქნა გაცემული, რაც აღინიშნა შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

ქალბატონებო და ბატონებო,

მე მოვლედ მოგახსენეთ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. სრული მზაობა გაგვაჩნია, რომ თქვენთან ერთდ მივაღწევთ იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორებას, რომელიც ჯერ კიდევ გაგვაჩნია. მთავარია ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა გრძნობდეს ჩვენ მზრუნველობას, ხედავდეს ჩვენს მცდელობას პრობლემების მოგვარებისა და მათი თხოვნების თუ შენიშვნების გათვალისწინებას.

გმადლობთ.